



საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის მიერ დაფუძნებული იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდი აცხადება კონკურსს პროგრამაზე

„დასავლეთ საქართველოს სამართლის სამაგისტრო პროგრამის სტიპენდია“

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებს.

კონკურსს ორგანიზებას უწევს საია-ს იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდი.

პროგრამის ფინანსური მხარდამჭერია აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი (East-West Management Institute).

აღმოსავლეთ-დასავლეთის მართვის ინსტიტუტი საქართველოში ახორციელებს პროექტს - „მართლმსაჯულების დამოუკიდებლობისა და გაძლიერების პროგრამა“ (JILEP) – ამერიკის შერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მიერ დაფინანსებულ ოთხწლიან ინიციატივას.

კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ 2011 წელს ჩარიცხულ მაგისტრანტებს.

კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა არა უგვიანეს 2011 წლის 31 ოქტომბრისა უნდა წარმოადგინონ: თანდართული სააპლიკაცო ფორმა შევსებულ ფორმატში, პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, სტუდენტობის ასლი ან სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის დამადასტურებელი ცნობა სასწავლებლიდან, ბაკალავრიატის ნიშნების ფურცელი, საერთო სამაგისტრო გამოცდაში მიღებულ ქულათა რაოდენობის დამადასტურებელი დოკუმენტი, სასწავლებლის მიერ ჩატარებულ შიდა გამოცდაში (სპეციალობაში) მიღებულ ქულათა რაოდენობის დამადასტურებელი დოკუმენტი, შემდეგ მისამართზე: ქ. ქუთაისი, კოსტავას ქ. #11, (საკონტაქტო პირი **ნინო თვალთვაძე**) ან გადმოაგზავნონ შემდეგი ელექტრონული ფოსტის მისამართზე: metreveli@gyla.ge (საკონტაქტო პირი **თამარ მეტრეველი**)

პრეტენდენტები შერჩევას გაივლიან 2 ეტაპად. წარმოდგენილი დოკუმენტების საფუძველზე მოხდება ე.წ. Short list -ის შედგენა, ხოლო 4 საუკეთესო მონაწილე გამოვლინდება გასაუბრების

შედეგად, რომელიც წარმართება იურიდიული განათლების ხელშეწყობის ფონდისა და დონორი ორგანიზაციის მონაწილეობით.

4 საუკეთესო მონაწილის შერჩევა მოხდება შემდეგი სავარაუდო კრიტერიუმების გათვალისწინებით:

- საერთო სამაგისტრო გამოცდაში მიღებულ ქულათა რაოდენობა
- სასწავლებლის მიერ ჩატარებულ შიდა გამოცდაში (სპეციალობაში) მიღებულ ქულათა რაოდენობა
- ბაკალავრიატის დასრულებისას მიღებული შეფასებები
- სწავლის საფასურის გადახდისუნარიანობა
- კონკურსში მონაწილეობის დასაბუთება

თანაბარი მონაცემების შემთხვევაში უპირატესობა მიენიჭებათ:

- პირებს, რომლებც ფლობენ უცხო ენას
- ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლებს
- იძულებით გადაადგილებულ პირებს
- მაღალმთიანი რეგიონის წარმომადგენლებს.

შერჩეულ კანდიდატებთან ფონდი გააფორმებს ხელშეკრულებას, სადაც დეტალურად იქნება გაწერილი კონკურსში გამარჯვებული კანდიდატების უფლება-მოვალეობანი. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების აბსოლიტური დაცვა იქნება ერთადერთი პირობა, რომლის საფუძველზეც ფონდი:

- დააფინანსებს სამაგისტრო პროგრამაზე სწავლის მთლიან საფასურს 2 წლის განმავლობაში
- უზრუნველყოფს კანდიდატებს სახელმძღვანელოებით
- უზრუნველყოფს კანდიდატებს საცხოვრებელი ადგილით, იმ შემთხვევაში, თუ მათი ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი (იგულისხმება სხვა მუნიციპალიტეტი), დიდ დაშორებაზეა სასწავლებლის ადგილიდან.

დავუკავშირდებით მხოლოდ შერჩეულ კანდიდატებს.

დამატებითი კითხვების შემთხვევაში შეგიძლიათ დაგვიკავშირდეთ

საკონტაქტო პირი:

თამარ მეტრეველი: metreveli@gyla.ge; 599 51 00 63